



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება:ბ92.92222223

თარიღი:10/08/2022

მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით ა(ა)იპ "ლაგოდეხის სერვის ცენტრზე" გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, "ე"-პუნქტის "ე.ე" და "დ.დ" ქვეპუნქტების, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტის, მე-6 პუნქტის, "მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669-ე დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მე-5 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და "ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 05 აგვისტოს Nგ-93.93222173 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი1.გადაეცეს უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, ა(ა)იპ „ლაგოდეხის სერვის ცენტრს“ (ს/კ:433105659), მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონება - პლასტმასის - 50 (ორმოცდაათი) ცალი, 1100 (ერთი ათას ასი) ლიტრიანი და მეტალის - 40 (ორმოცი) ცალი, 1100 (ერთი ათას ასი) ლიტრიანი ნაგავშემკრები კონტეინერი არსებობის ვადით.

/საფუძველი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის "ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის" 2022 წლის 08 აგვისტოს N06-922222079 მოხსენებითი ბარათი/.

მუხლი2.ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის ეს ბრძანება უთანაბრდება მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულებას, დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობისთანავე.

მუხლი3.ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის "ეკონომიკის სამსახურს".

მუხლი4.ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე;

მუხლი5.ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ჯონდო მდივნიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

